6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

2. ინტერვიუირებიდან ირკვევა, რომ სკოლის დირექტორს გაცნობიერებული აქვს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა დასახული მიზნების მიღწევისთვის და იცის, როგორ შექმნას გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და დელეგირებაზე დაფუძნებული სისტემა. ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბიულეტენის, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

   ***ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. ასევე, 1600 მოსწავლეზე გათვალისწინებული იყო დირექტორის ერთი მოადგილე.***

   ***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება, საშტატო განრიგის ცვლილება (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმება) და დირექტორის მეორე მოადგილის დანიშვნა განხორციელდება 2023 წლის 25 დეკემბრამდე.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი. სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. რაც შეეხება არაპედაგოგი თანამშრომლების შერჩევას, ის სრულდება ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე.

   ***ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალის დიდ ნაწილთან პირად საქმეებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იძებნებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა:***

   - ✓ ***ცნობა ნასამართლეობის შესახებ;***
   - ✓ ***სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;***
   - ✓ ***უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.***

   ***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გაწერა, რომ სკოლის პერსონალი კანონმდებლობით დადგენილ ცნობებს წარმოადგენს 2024 წლის 31 მაისამდე, ყველა ცნობა განთავსდება მათ პირად საქმეში.***

4. სკოლას ჰყავს 82 მასწავლებელი, მათგან 51 უფროსი, 31 წამყვანია. სკოლამ 2023 წელს ორი პედაგოგი წარადგინა მენტორის სტატუსზე.

   სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 დღის დარაჯი, 4 დამლაგებელი, 2 სპეც. მასწავლებელი, 1 სპეც. საგ. საჭი. მქონე პირის ასისტენტი, 1 მუშა.

   მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.

   თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა, სპეც. მასწავლებელთა, სპეც. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ექიმის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ მოცემულ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პირობებში. *თუმცა არ არის განსაზღვრული სხვა თანამშრომლების კვალიფიკაციები. მაგალითად, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ.*

*სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შემუშავება განხორციელდება 2023 წლის 30 სექტემბრამდე.*

5. ორგანიზაციაში გუნდური მმართველობისა და დემოკრატიული კულტურის გაძლიერება სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 სკოლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სკოლის ხედვაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობა, რომელიც ორიენტირებულია ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მნიშვნელოვანი მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან 6 მასწავლებლი, 6 მშობელი და 1 საშ. საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, მანდატური, მოსწ. თვითმმათველობის წარმომადგენელი მოსწავლე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან. ხარისხის ჯგუფის მიზანია:

- სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
- მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;
- სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება;
- სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება.

სკოლის ბაზაზე მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასებისას ყურადღება მახვილდება შემდეგ კრიტერიუმებზე:

- საუკეთესოდ, პოზიტიურად თანამშრომლობს მშობლებთან და კოლეგებთან;
- აქტიურად მონაწილეობს საგნობრივი კათედრების მუშაობაში;

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. მასწავლებლები თანამშომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორისაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

6. სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის საკოლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სასკოლო შეფასების მექანიზმები. სკოლა ამ შეფასების საფუძველზე მოახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებასაც.

სკოლის შინაგანაწესში კი განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა,**
- **შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები,**
- **დირექტორის ბრძანება სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ,**
- **ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,**
- **მასწავლებელთა პირადი საქმეები,**
- **დირექტორის ბრძანება ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის საკოლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სასკოლო შეფასების მიზნები: დაინერგოს სკოლაში ჯანსაღი კონკურენცია, ცოდნისა და განათლების მაღალი ხარისხი, თითოეული პედაგოგის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ესგ-ით გათვალისწინებული სტანდარტების მიღწევა, მუდმივი გაუმჯობესების საფუძვლების შექმნა. იმისათვის რომ მოხდეს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა, სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

პროგრამებისა და საორგანიზაციო კულტურის განვითარება, აუცილებელია მასწავლებელთა ინტერესების გათვალისწინება. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს :

- უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- მასწავლებელთა ინფორმირებულობა ინოვაციური მიდგომებითა და მეთოდებით;
- მათი საჭიროების დადგენა და დახმარება პროფესიულ წინსვლაში;
- სასკოლო და სკოლის გარე პროექტებში ჩართულობა;
- ქვეყნის ფარგლებში და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირება;
- ტექნიკური უზრუნველყოფა;
- რესურსებით აღჭურვა;

სასწავლო პროცესში პედაგოგთა მუშაობა კონტროლდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- სასწავლო მეთოდები და მიდგომები;
- გაკვეთილების დაგეგმვის შემოწმება;
- თემატური ერთეულების შემოწმება;
- გაკვეთილებზე დასწრება;
- რესურსების მოძიება და გამოყენება;
- სემესტრული და წლიური ანგარიშები.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია ყველა იმ დოკუმენტის ჩამონათვალი, რისი გათვალისწინებითაც მოხდება პედაგოგის მუშაობის შეფასება. შეფასების კრიტერიუმები კლასიფიცირდება შრომითი დისციპლინის, სწავლება-სწავლის სტრატეგიების, სწავლება-სწავლის ხელშემწყობი გარემოს, პროფესიული ეთიკის, მოსწავლეთა შედეგების მიხედვით.

სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია და დამტკიცებულია ამ ჯგუფის დებულება. აღნიშნული ჯგუფი ესწრება პედაგოგებს გაკვეთილზე და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. ეს პროცესი თავის მხრივ მოიცავს შეფასებასაც და საჭიროებათა დადგენასაც.

2. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია. სკოლა 2020 წლიდან ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში, მესამე თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესში სკოლა ანხორციელებდა მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ცდილობდა მხარდაჭერა შეეთავაზებინა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებით. მასწავლებლები რაიმე კონკრეტული ტიპის პროფესიული განვითარების გეგმას არ ადგენენ, თუმცა მუდმივად ორიენტირებულნი არიან პროფესიულ განვითარებაზე.

რაც შეეხება პროფესიული განვითარების გარე მექანიზმებს, პედაგოგების გადამზადება ხორციელდება თვითდინებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, მასწავლებელთა საკუთარი ნებითა და შეხედულებით არჩეულ ტრენინგებზე დასწრებით.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. გარდა იმისა, რომ გაკვეთილზე დასწრებით და განმავითარებელი შეფასების მიცემით მასწავლებლისთვის ცნობილი ხდება მისი პროფესიული საჭიროება და ამით ხდება ხელშეწყობა, რომ მასწავლებელი მიზანმიმართულად, საჭიროებების მიხედვით განვითარდეს, ასევე ხელშემწყობ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მზაობა, დროულად მიაწოდოს მასწავლებლებს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის ტრენინგებზე, ფორუმებსა და კონფერენციებზე, საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებზე. მასწავლებლები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, რასაც აფასებს ხარისხის ჯგუფი და სკოლის დირექტორი. სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს 2 მასწავლებელი წარადგინა მენტორის სტატუსზე. მასწავლებლების გარდა სკოლა ხელს უწყობს გაიაროს ტრენინგები სხვა პერონალმაც: საქმეთა მმართველმა, სკოლის ბუღალტერმა.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლაში მრავლადაა ახალი კადრი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად შემოვიდა სკოლაში. ისინი გამოხატავდნენ კმაყოფილებას სკოლის ადმინისტრაციისა და კოლეგების მხრიდან გამოჩენილი მახარდაჭერის გამო. სკოლა ახალ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თანამშომლებს შესთავაზებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულობას, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ახალ თანამშრომელს ინტეგრაციაში.
სკოლას თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის კონკრეტულად გაწერილი მექანიზმი არ წარმოუდგენია.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის მცდელობა აიმაღლონ პროფესიული უნარები, რათა უზრუნველჰყონ სკოლის განვითარება, რაც მიიღწევა მათ მიერ გაწეული სამუშაოების მუდმივი შეფასების, თვითშეფასებისა და რეფლექსიების საფუძველზე, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვით. სკოლამ გაითვალისწინა მასწავლებელთა საჭიროება და მათი ინიციატივით შეიძინა პროექტორები, მონიტორები, ჭკვიანი დაფა, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხმის გამაძლიერებელი აპარატურა და სხვა.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები,**
- **ხარისხის ჯგუფის დანიშვნის ბრძანება, გაკვეთილზე დაკვირვების უკუკავშირი,**
- **ბრძანებები თანამშრომელთა წარდგენის შესახებ,**
- **მასწავლებელთა პირადი საქმეები,**
- **ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები/სერთიფიკატები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებისკენ სვლის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების საშუალებები, მონაწილე მხარეები. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში არსებობს ჯგუფი, რომელიც დირექტორთან ერთად ახორციელებს მონიტორინგს. მაგალითად, სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან არის დაკავშირებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;

სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: კურიკულუმი შემუშავება - დანერგვა - დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება - გადასინჯვა და რევიზია. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

2. სკოლას გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიაში წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მართავენ პროცესებს. თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე პროცესებიც. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება. აქედან ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. ყველა მოსწავლეს შეუძლია სემესტრული გამოცდის მოთხოვნა და საშუალება ეძლევა გააუმჯობესოს მისი აკადემიური მაჩვენებელი. სკოლაში არსებობს სააპელაციო კომიტეტიც, სადაც შესაძლებელია გადაწყვეტილების გასაჩივრება.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. მშობელსა და სკოლას შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მშობელი/მეურვე გამოთქვამს თანხმობას, საჭიროებისამებრ და უსაფრთხოების ნორმების დაცვით გამოქვეყნებული იყოს მოსწავლის პირადი მონაცემები და ფოტოები. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- შრომითი ხელშეკრულებები,
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება,
- მშობლის თანხმობის ფორმა,
- სადამრიგებლო საათის ოქმი,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის მეორე სართულის ფოიეში განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოებასთან უწყვეტ კომუნიკაციას. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდება მშობელთა კრებები, შეხვედრები მოსწავლეებთან. სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს სხვადასხვა მიმართულებით სკოლისადმი დამოკიდებულების, სასწავლო გარემოს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, მშობელთა კმაყოფილების კვლევის შესაბამისად. 2023-2024 სასწავლო წლიდან გააქტიურდება სკოლის ვებ-გვერდი, როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალება. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, Microsoft Teams პლატფორმა, სადაც შესაძლებელია დისტანციური სინქრონული ჩართვა და კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მეორე სართულის დერეფანში დევს პრობლემების ყუთი, სადაც თავს იყრის სასკოლო საზოგადოებიდან წამოსული ანონიმური უკუკავშირი სასკოლო პრობლემებთან დაკავშირებით.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელიწადში ერთხელ. დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ მტკიცდება განათლებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------
---------------------

მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ასევე, წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.
ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, მაქსიმალურად გაითვაისწინებს მათ ინიციატივებს.
სკოლა გამოსცემს საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალს, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **მშობლებთან შეხვედრის ოქმი,**
- **პედ. საბჭოს ოქმი,**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები,**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები,**
- **სკოლის ვებ-გვერდი: https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en.**
- **სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან,**
- **პროექტის - „მშობელთა ჩართულობა“ პორტფოლიო.**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით. 2021 წლის 6 აპრილს სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N76. სკოლამ 2021-2022 წლებში შეასრულა დიდი ნაწილი მიწერილობით მიცემული რეკომენდაციებისა, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან აღარ გადამოწმებულა განხორციელებული ღონისძიებების შესრულების შესაბამისობა მიწერილობასთან.

***ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი მიწერილობა და დასკვნა 2021-2022 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესრულების შესაბამისობის შესახებ.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც 2024 წლის 31 მაისამდე გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტში წერილის გაგზავნა სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესრულების შესაბამისობის გადამოწმების მიზნით და ახალი მიწერილობის წარმოდგენა.***

***სკოლაში გათვალისწინებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და დირექტორის N2-62 27/03/2023 ბრძანებით დამტკიცებული იყო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, თუმცა შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არ აღმოჩნდა შეთანხმებული. აღნიშნული გეგმა სკოლამ 2023 წლის 6 ივნისს წარადგინა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებლად.***

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში გასულ წელს უზრუნველყოფილი იქნა ეზოში წყლის რეზერვუარის სისტემის გამართვა, რისი საშუალებითაც წყლის მიწოდების პრობლემის დროს სკოლა გამოიყენებს რეზერვუარის მარაგებს როგორც წყლის მიწოდების ასევე ხანძარსაშიში მდგომარეობის დროს.

სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექიმის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია. სკოლას ჰყავს 1 ექიმი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ბრძანების მოთხოვნებს, თუმცა სკოლამ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრა 1600 მოსწავლით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების N41/ნ/01-23/ნ საფუძველზე 1600 მოსწავლეზე საჭიროა სკოლას ემსახურებოდეს ორი ექიმი.

***ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული იყო მხოლოდ ერთი ექიმი.***

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც 2024 წლის 31 მაისამდე გათვალისწინებულია საშტატო განრიგის შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მეორე ექიმის დანიშვნა.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ და აქვს რეაბილიტაციის პროცესის, ჩატარებული სამუშაოების ამსახველი წიგნი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობის, გათბობის სისტემებისა და ა. შ. აღწერა და დეტალები, წარმოდგენილია შენობის სრული მახასიათებლები. ***სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). 2023 წლის 6 ივნისს სკოლამ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში გააგზავნა თხოვნის წერილი შენობის მდგრადობის დასკვნის მიღების მიზნით.***

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ყველა საკლასო ოთახი, ისტ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აყვანილია დაცვაზე. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია 4 მანდატური, მოქმედებს 8 გარე და 26 შიდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა. სამეთვალყურეო კამერებით კონტროლდება სკოლის სრული პერიმეტრი და ***შიდა სივრცე სართულებზე ასასვლელი კიბის უჯრედების გარკვეული ზონების გარდა.*** სკოლაში დასაქმებულნი არიან დღისა და ღამის დარაჯები, დასვენებებზე მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. სკოლას აქვს შენობაში 3 შესასვლელი კარი, რაც საშუალებას იძლევა გადანაწილდეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების შესვლა-გამოსვლა. სკოლას აქვს პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების სკოლის პირველ სართულზე თავისუფალ გადაადგილებას. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შემოსვლა მკაცრად კონტროლდება.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია “მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“, „ბუნებისმეტყველების“ და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია რეფერირების წესების შესახებ. სკოლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინკლუზიური გარემოს ფორმირება, სსსმ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამ მიზნით სკოლაში ინტენსიურად მუშაობს ინკლუზიური განათლების ჯგუფი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლა თანამშრომლობს ფსიქოლოგებთან. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირებით იკვეთება, რომ დაგეგმილია ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან. გათვალისწინებულია ერთ კლასში შემსვლელი მასწავლებლების სასწავლო ჯგუფები, რათა კლასის დამრიგებლის ხელმძღვანელობით მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების კვლევა და მხარდაჭერა ფსიქოემოციური, აკადემიური მიმართულებით. სკოლის დერეფნებში გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - სველ წერტილებში არის თხევად საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი, სკოლაში პერიოდულად ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები. ყველა სართულსა და დერეფნებში, არის წყლის დისპანსერი, სადეზინფექციო ხსნარი, სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგიენის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას აქვს წყლის დამატებითი რეზერვუარი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ნაკადის უწყვეტობას. სკოლას ემსახურება 4 დამლაგებელი. დამლაგებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილ დამლაგებლის ვალდებულებებში იკვეთება, თუ სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რა პროცედურები აქვს, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ***მკაფიოდ გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები. სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.***

5. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. მას შემდეგ რაც მონაცემთა დამუშავების მიზანი მიღწეული იქნება, ისინი უნდა დაიბლოკოს/წაიშალოს, ან თუ კანონით სხვა რამ არაა დადგენილი, უნდა შენახულ იქნას ისე, რომ პირის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდეს. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ საჯარო განხილვა/გავრცელება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები. პერსონალურ მონაცემებთან შესაძლებელია შეხება ჰქონდეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლის შემდეგ თანამშრომლებს: დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი/მასწავლებელი მათ კომპეტენციებს მიკუთვნებული დოზითა და პასუხისმგებლობით. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა.
***ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, თუმცა ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა შექმნის მოცემულ დოკუმენტს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის შემუშავება 2023 წლის 30 ოქტომბრამდე.***

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები.

7. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლაში არსებობს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების მონიტორინგის სამსახური, მრჩეველთა საბჭო.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა- პროექტი,
- შვიდწლიანი სტრ. განვითარების გეგმა,
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სადამრიგებლო პროგრამები;
- ვიზიტირთა სარეგისტრაციო წიგნი;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 11 ივლისის დასკვნა N5004426323 შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეთანხმების წერილი MIA 4 23 01904668 -04/07/2023;
- ექიმის ჟურნალები;
- მშობელთა და მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანხმობები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში და სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- წყლის რეზერვუარის, ვიდეოკამერების, ცეცხლმაქრების, სახამძრო დაფის მიღება-ჩაბარებები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლა მდებარეობს ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩის IV შესახვევი, N1, ს/კ 03.01.23.110 - 18221.00 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლას აქვს სამსართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართობია 3354,8 კვ.მ, ასევე დამხმარე ნაგებობები 54.40 კვ.მ ფართით. სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2016 წლიდან.

   სკოლის პირველ სართულზე განლაგებულია:
   - ინფრასტუქტურულად გამართული შიდა სპორტული დარბაზი სრულფასოვანი რესურსებით,
   - ვაჟებისა და გოგონების გასახდელი ოთახები,
   - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილებით, გამწოვი კარადითა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სრული აღჭურვილობით, STEM ვირტუალური ლაბორატორიით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- კომპიუტერული ლაბორატორია 28 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
- ბიბლიოთეკა საცავით,
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 2+1(ადაპტირებული) სველი წერტილებით,
- პერსონალის (მამაკაცი) საპირფარეშო
- 6 საკლასო ოთახი,
- რესურსოთახი,
- სამედიცინო კაბინეტი,
- მანდატურების ოთახი,
- სკოლის ცენტრალური შესასვლელი და დერეფნები.

მეორე სართულზე განლაგებულია:

- ადმინისტრაციის ბლოკი: დირექტორის კაბინეტი და კანცელარია,
- სამასწავლებლო,
- 11 საკლასო ოთახი,
- დერეფნის ზონაში შექმნილია ხელოვნების ცენტრი,
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 3-3 სველი წერტილით,
- პერსონალის (ქალთა) საპირფარეშო,

მესამე სართულზე განლაგებულია:

- 11 საკლასო ოთახი,
- სააქტო დარბაზი სრული აღჭურვილობით: ელექტროპიანინოთი, აუდიო სისტემით, ხმის გამაძლიერებელი სისტემით,
- დერეფნის ზონაში შექმნილია ფრანგული ენის ცენტრი.

საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა შეადგენს 836 ერთეულს. სკოლას კი განაცხადი წარმოდგენილი აქვს 1600 მოსწავლეზე (სკოლა ორცვლიანია).

სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

   სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. ყოველ საკლასო ოთახში არის მონიტორი, რომელიც უკავშირდება ლეფტოფს, ან დამონტაჟებულია პროექტორი (დაწყებით კლასებში). მეორე სართულის ერთერთ საკლასო ოთხაში დამონტაჟებულია ჭკვიანი დაფა. სკოლას აქვს 34 ლეფთოფი, 37 კომპიუტერი, 21 მონიტორი, 8 პროექტორი, 2 ტენისის მაგიდა სკოლის დერეფნებში, 6 ჭადრაკის დაფა, 4 შავ-თეთრი და 1 ფერადი პრინტერი, 1 მძლავრი ქსეროქსი, 1 პლანშეტი და რესურსოთახის მრავალფეროვანი რესურსები, ასევე ტელესკოპი, ფოიეებსა და სამასწავლებლოში წყლის დისპენსერები, აღჭურვილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფები, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიურად და ნაყოფიერად ჩერთოს სასწავლო პროცესში. საბუნებისმეტყველო, ისტ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში გამოკრულია ქცევისა და სარგებლობის წესები.

   სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ელექტრონული კართოთეკებით bibliocat.ge პლატფორმაზე. წარმოდგენილია 52187 წიგნი, მათგან 33 000 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა. სკოლა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. იღებენ საერიულ გამოცემებსაც: ჟურნალი „განთიადი“ და „ახალი განათლება“. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამკითხველო მაგიდები და სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება. ბიბლიოთეკის ჩართულობით, საბუნებისმეტყველო და მათემატიკის კათედრებთან თანამშრომლობით გამოიცემა სკოლის სამეცნიერო ჟურნალი. სკოლაში წარმოდგენილია მისი ორი ნომერი. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ასევე მრავალფეროვანი მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის. სკოლას აქვს ელექტრონული რესურსების ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისათვის.

3. ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება სკოლის პრიორიტეტია. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის პირველ სართულზე. პირველ სართულზეა განლაგებული სკოლის ყველა საერთო სარგებლობის კაბინეტი: ისტ ლაბორატორია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟების საპირფარეშოებში, კვების ბლოკი. მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა და მესამეზე სააქტო დარბაზი. რესურსოთახი 19,5 კვ.მ-ია და სასურველია, თუ სკოლა გამოძებნის შედარებით მეტი ფართობის მქონე ოთახს. რესურსოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, 1 კომპიუტერით, 1 ლეპტოპით, 1 პრინტერით, სასწავლო რესურსებით. სკოლას ემსახურება 2 სპეც. მასწავლებელი და 1 სპეც. ასისტენტი.

სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს სკოლაში შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი ორ ცვლად. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აზრები, ასევე საპირფარეშების, შემოსასვლელისა და გასასვლელის ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს.

***ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო დამონტაჟებული შიდა პანდუსები მეორე-მესამე სართულებზე ასასვლელად, ან ლიფტი.***

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შიდა პანდუსების დამონტაჟება დაგეგმილია 2024 წლის 31 მაისამდე.***

4. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველჰყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი და შიდა სპორტული დარბაზი, ეზოში ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. დერეფნებში შექმნილია ხელოვნების, ფრანგული ენის ცენტრები. სკოლა მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმავს მეორე სართულის დერეფანში გააკეთოს კითხვის ცენტრი შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით.

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, ვირტუალური ლაბორატორია, ჭკვიანი დაფა, ჭადრაკის დაფები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

მაგნიტური დაფები, მონიტორები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა- პროექტი,**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა,**
- **მიღება-ჩაბარებების ამსახველი დიკუმენტაცია;**
- **გრიფირებული სახელმძღვანელოები;**
- **ინვენტარიზაციის წიგნი;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს, მანდატურის, რესურსოთახის სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლის სრული შიდა სივრცე WIFI ინტერნეტწვდომის საშუალებას იძლევა. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია თანამედროვე მონიტორითა და პროექტორით.

   ინტერვიურების დროს სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ შეიქმნება სკოლის გაციფრულებისთვის მოსწავლეებითა და მასწავლებელებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელსაც გადაამზადებს სკოლის IT მენეჯერი. მათი მუშაობის მიზანი იქნება სასკოლო საზოგადობის ურთიერთობების და ინფორმირებულობის გამართულობა, პრობლემების, ინიციატივების შეგროვება და გაანალიზება. ეს ჯგუფი იმუშავებს სკოლის ვებ-გვერდის სრულყოფილად ამუშავებაზე. 2023 – 2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომელია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილი ვირტუალური ლაბორატორიით. აქვს უწყვეტი ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. წარმოდეგენილი აქვს სასწავლო სივრცეში ინტერნეტით უზრუნველყოფის მტკიცებულებები. კერძოდ; ლინკები: სკოლის მატინე; ციფრული სკოლა, ფრანგული ენის სწავლება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2022-2029 სტრატეგიული განვითარების გეგმა;**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 – 20214 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (საგ. რესურსები);**
- **ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ.**
- **ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. სკოლას საქმისწარმოების წესი განსაზღვრული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებაში (ბრ. N2 – 220 15.07.2020) საქმიწარმოების განსხვავებული წესით დამტკიცების შესახებ, სადაც განსაზღვრულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, ელექტრონულ მისამართზე განცხადებების, წერილების და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და რეაგირება. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული განცხადებების/წერილების ჟურნალს მატერიალური სახითაც. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------
--------------------------

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა kutaisi30@mes.gov.ge . სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.

4. სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საქმისწარმოების განსხვავებული წესით დამტკიცების შესახებ;**
- **eflow და eschool ციფრული პლატფორმები;**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.**

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ; სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. ***სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი ფორმირებულია, თუმცა დამუშავების პროცესშია და არ არის ასახული ინფორმაცია სკოლის შესახებ.*** ინტერვიურების დროს, დირექტორმა განმარტა, რომ ვებ-გვერდი სრული დატვირთვით იმუშავებს ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან.
   სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს. საზოგადოებასთან კომუნიკაციის რაიმე კონკრეტული წესი, ან პროცედურები კონკრეტული მექანიზმის სახით წარმოდგენილი არ არის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------
----------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები არაფორმალური განათლების ფარგლებში, პრობლემური და პრიორიტეტული თემების იდენტიფიცირებისათვის. სკოლას ფოიეში განთავსებული აქვს პრობლემების ყუთი, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები ათავსებენ ინციატივებს, შენიშვნებს. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ იგეგმება ელექტრონული ფორუმის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლა ასევე იყენებს სოციალურ გვერდს საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად. აქტიურად იყენებს Microsoft Forms - ს აპლიკაციას ელექტრონული გამოკითხვისთვის.

4. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი. დირექტორის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის ვებ-გვერდი სრული დატვირთვით იფუნქციონირებს. ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე, რადგანაც სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სახელმწიფო ენაზე.

5. სკოლის ვებ-გვერდზე შექმნილია ჩანართები: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ანგარიშები, საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლაში მიმდინარე მოვლენები. მიმდინარე ეტაპზე ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ სკოლის შექმნის შესახებ ისტორია, განხორციელებული ღონისძიებების, სასკოლო ბიბლიოთეკის მომსახურების და მართვის შესახებ ინფორმაცია. ***ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი შინაარსობრივი ინფორმაცია სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის ჩანართებში, არ აქტიურდებოდა ბმულები და გვერდი აღმოჩნდა გაუმართავი.*** ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლის ვებ-გვერდის შენაარსობრივი მხარე _ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და ა. შ. განთავსდება ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში.
***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სკოლის არსებული ოფიციალური ვებ-გვერდის შენაარსობრივად გამართვა და სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება 2024 წლის 31 მაისამდე.***

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის ვებ გვერდი: https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en
- ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა,
- ვიზუალური დათვალიერება - „პრობლემების ყუთი“;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------
----------------------------
----------------------------

1. სკოლას აქვს 2023 – 2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება /ცვლილებების შეტანა, სკოლის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავება და დამტკიცება. სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს შემოსავლებს ეკონომიკური შემოსავლებიდან. გაიჯარებულია გარე სპორტული მოედანი, შიდა სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახი. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის ფინანსური რესურსით განხორციელებულია სააქტო დარბაზის აღჭურვა აუდიოსისტემითა და ინსტრუმენტით, საკლასო ოთახებში 21 მონიტორის შეძენა, ჭკვიანი დაფის შეძენა, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების შეძენა. სკოლის ფინანსები უზრუნველყოფს ყველანაირ კომუნალურ ხარჯს: ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, წყლის მოწოდების, დასუფთავების, დაცვის, ვებგვერდის და სხვა ხარჯებს. სკოლა ფინანსურად მდგრადია.

2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმა;**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;**
- **მიღება - ჩაბარების აქტები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- საიჯარო ხელშეკრულებები;
- ბაზრის კვლევა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში შექმნილია დაცულობის და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, მხარდაჭერასა და

დახმარებაზეა ორიენტირებული. თითოეულ მოსწავლეს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც სკოლას გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის. შინაგანაწესში გათვალისწინებულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი.

მოსწავლის უფლებები და მოვალეობები წარმოდგენილია მშობელთან დასადებ ხელშეკრულებაშიც, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის პირადი ინფორმაციის მართვის სასკოლო რეგულაციებიც. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის გათვალიწინებულია სასკოლო ფორმა, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის თავისუფალი ჩაცმის სტილი.

აგრეთვე, სკოლას აქვს შინ სწავლების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის შესახებ.

სკოლას შემუშავებული აქვს კვლევის კითხვარი, რომელიც სკოლას დაეხმარება შეაფასოს მოსწავლეთა დამოკიდებულებები მასწავლებლებთან. მაგალითად, რამდენად ხშირად ესაუბრებით მასწავლებლებს თქვენს პრობლემებზე? რამდენად თავისუფლად შეგიძლიათ აზრის გამოხატვა მასწავლებელთან? იღებთ თუ არა მასწავლებლის მიერ დამსახურებულად მოცემულ შენიშვნას და აღიარებთ თუ არა მას? არის თუ არა მასწავლებლების მიერ მოცემული შენიშვნები სამართლიანი? არის თუ არა აგდებული დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ(ცინიზმით საუბარი)? ექცევა თუ არა მასწავლებელი კლასში ყველას თანასწორად? გამოყოფს თუ არა  რაიმე ნიშნით? დაუკომპლექსებიხართ თუ არა მასწავლებელს მისი ქცევით ან სიტყვიერი შენიშვნებით?

მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აგრეთვე სკოლას აქვს სოციალური გვერდი და ვებგვერდი, რომლის სრულყოფილი ფუნქციონირება დაგეგმილია ახალი სასწავლო წლისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ანონიმური ყუთი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები აფიქსირებენ სასკოლო საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას, უფლებების დაცვასა და მოვალეობებს. სკოლაში ყველა საფეხურზე ეტაპობრივად ინიშნება კლასის საათი, სადაც განიხილება საორგანიზაციო საკითხები მოსწავლეთა უფლებების/მოვალეობების შესახებ. როგორ არის შესაძლებელი ამ უფლების დაცვა და რა მექანიზმები არსებობს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კლასის საათის რამდენიმე ნიმუში.

სკოლის დირექტორის განმარტებით მიმდინარე წელს ერთ - ერთი პრიორიტეტი იყო მშობელთა ჩართულობის გაძლიერება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მუშაობა აქტიურად გაგრძელდება 2023 – 2024 სასწავლო წელსაც, რადგანაც სკოლამ სუსტ მხარედ მიიჩნია სასკოლო საზოგადოების მიმართ მშობელთა (გარკვეული ნაწილის) გულგრილობა. აღნიშნული სკოლას გაწერილი აქვს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტშიც.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთან დასადები ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდაა გაწერილი სკოლისა და მშობლის უფლება/მოვალეობები, მშობლის/კან.წარმომადგენელის ვალდებულებები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების ფორმები. მაგალითად; სკოლამ განათავსოს სოციალურ მედიაში, ინტერნეტ სივრცეში, გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას სკოლის ტერიტორიაზე.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **შინაგანაწესი,**
- **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულება**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **კლასის საათის ოქმები,**
- **კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- მშობელთა კრების ოქმი ხელშეკრულების გაცნობაზე,
- ბრძანება თვითმართველობის არჩევნების კომიისიის შექმნაზე,
- თვითმართველობის ოქმი,
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინარული კომიტეტის შექმნის შესახებ,
- პროექტის „მშობლის ჩართულობა“პორტფოლიო ,
- სკოლის ვებგვერდი: https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ***სკოლას არ აქვს მკაფიოდ გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმები, თუმცა იყენებს კანონმდებლობის შესაბამის რეგულაციებს.*** შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელქტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. სკოლა გეგმავს, მომდევნო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სასწავლო წლიდან გაკეთდეს ამონარიდები, კანონის მუხლებიდან, შექმნას შესაბამისი დოკუმენტი და გააზიაროს სკოლის ვებ-გვერდზე. სასურველია, განისაზღვროს დოკუმენტის სახით მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. ამ მხრივ სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ რესურსცენტრთან. სკოლაში ბრძანების საფუძველზე მოხდება მოსწავლის ჩარიცხვა და და ამორიცხვა, ექსტერნის შედეგზე მიბმული ქმედებები, მობილობა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება. გარდა ამისა, მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევის შედეგები განიხილება პედსაბჭოზე.

3. სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, რაც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინფორმაციების მიწოდება მოხდება სადამრიგებლო კლასის საათზე, სოციალური ქსელით, საინფორმაციო დაფის მეშვეობით. აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ მე-5 კლასში მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად. სკოლაში მეოთხე კლასის დასასრულს ჩატარდება დამრიგებლისა და ენის სპეციალისტების მიერ ერთობლივი საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით. არჩევანის გაკეთების პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა (მშობელთა) ინტერესები და სკოლის შესაძლებლობები, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სასწავლო რესურსებისა და ფინანსური შესაძლებლობის ჩათვლით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სსიპ ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლა მოსწავლეებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის მეორე უცხოურ ენად სთავაზობს რუსულ და ფრანგულ ენას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმის ნიმუში. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფრანგული ენის გაძლიერებულად სწავლების პროგრამის დანერგვის შესახებ ფრანგული ენის ფონდ ,,Moliere’’-თან. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესთავაზებს არჩევით საგნებსაც. მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

სსიპ ქალაქ ქუთაისის საჯარო სკოლას, 2023-2024 წელის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ფასიანი წრეები არ აქვს გათვალისწინებული.

სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს გაიჯარებული ფართები, სადაც ფუნქციონირებს ფეხბურთის, კალათბურთის, ქორეოგრაფიული წრეები და სტუდიები, ასევე ჭადრაკის წრე. სკოლის გაიჯარებულ ფართში, პირველ სართულზე ასევე ფუნქციონირებს კვების ბლოკი (ბუფეტი), სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური, ჯანსაღი საკვების მიწოდების ნორმები სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ზიარდება მეორე სართულის დერეფანში საჯაროდ, საინფორმაციო დაფაზე.

4. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სასკოლო რესურსებით, ჩაერთოს აქტივობებში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით. სკოლის შინაგანაწესში მნიშვნელოვანი ყურადღება მახვილდება „დისკრიმინაციაზე“, მის ცნებაზე და სკოლის კულტურაზე ამასთან მიმართებაში.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **შინაგანაწესი,**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **კლასის საათის ოქმები,**
- **სკოლის ვებგვერდი:** https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en
- **სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742**
- **ბრძანებები: მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებაზე, მობილობაზე, მოსწავლის ჩარიცხვაზე, განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, შეტყობინება სტატუსის შეწყვეტაზე,**
- **ხელშეკრულება მოლიერის ფონდთან,**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023 – 2024 სასწავლო წლის პროექტი,**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საქმეთა მმართველთან, სკოლის საინფორმაციო მენეჯერთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთეკრულებაი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------
--------------------------

1. სკოლას მკაფიოდ გაწერილი მექანიზმი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ბევრი პირობა გააჩნია. სკოლას აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ მოსწავლემ იგრძნოს თავი მშობლიურ გარემოში და იყოს დაცული. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები მოსწავლეს და მშობელს შეუქმნის წარმოდგენას მომავალ სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლაში მოსწავლის მიღება და რიცხოვნობის განსაზღვრა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ტრანზიციისათვის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა.

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები (ასევე წარმოდეგნილი აქვს კლასის საათის ოქმი „რატომ ხდება პრობლემები", სადაც არის მსჯელობა როგორ უნდა ადაპტირდეს მოსწავლე ახალ გარემოსთან), სადაც გათვალისწინებულია ახალი მოსწავლის ადაპტაციის ფორმები თანაკლასელებთან და სკოლასთან. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მოსწავლის საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის დოკუმენტირებული. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის პირობები. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ასევე საყურადღებოა მოსწავლის მე-4 კლასიდან მე-5 კლასში გადასვლის კრიზისული ეტაპი, როდესაც მოსწავლეებს აქვთ ახალ გარემოსთან, ახალ მასწავლებლებთან შეგუების ფსიქო-ემოციური ფონი, სკოლა ამ ეტაპზეც შესთავაზებს მოსწავლეებს შესაბამის აქტივობებს.
   სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშოები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, კომპიუტერული ტექნიკა, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი და სხვა განმავითარებელი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს შესთავაზებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, კლასგარეშე აქტივობებს, არაფორმალურ შეხვედრებსა და გასვლით აქტივობებს, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოში. ამ მიმართულებით აქტიურად ითანამშრომლებენ მოსწავლის მშობეთანაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. მოსწავლე სკოლიდან მიიღებს აქტიურ მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამისათვის სკოლა გამოიყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი საგნობრივი პროგრამები მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ამის გათვალისწინებით. მოსწავლეთა საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები გეგმავენ განახორციელონ ინდივიდუალური შეხვედრებიც და გამოიყენონ რემედიაციული სწავლების ფორმები.

   სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელს საბაზო-საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია წლიური გამოცდები, რომლის მიზანია დადგინდეს მოსწავლის მზაობა ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში და თავად მოსწავლემაც გააკეთოს რეფლექსია/თვითშეფასება ამ მიმართულებით. სკოლაში მესამე თაობის დანერგვის სრული პროცესი მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, ამ მიმართულებით სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ორიენტირებულია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე. ამის გარდა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბურ მომსახურებას. სკოლა აქტიურად ჩაერთვება სასკოლო ოლიმპიადებსა და დიაგნოსტიკური შეფასების პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია მშობელი ყოველდღიურ რეჟიმში იღებდეს ინფორმაციას სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შვილის აკადემიურ შედეგებზე. საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდებსთვის მოსწავლეს დაეხმარება დამრიგებელი, რომელიც ზრუნავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე და აწვდის მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

4. სკოლის შინაგანაწესითა და მშობლის ხელშეკრულებით გაწერილია მოსწავლის, მშობლის/მეურვის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული წესები.

   სკოლაში 2022-2023 წლიდან ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. ექიმი ახორციელებს პერიოდულ შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან ჰიგიენურ საკითხებთან დაკავშირებით. დირექტორის განმარტებით მომავლისთვის იგეგმება დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში ექიმის საათის დამატება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით. უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. უზრუნველყოფილია გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა, მათ შორის მობილობასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

5. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;

დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბებს აქვთ შემუშავებული შესაბამისი წესდებები, სამოქმედო გეგმებს კლუბის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ წლის დასაწყისში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

- სამოქალაქო განათლების კლუბს,
- ლიტერატურული კლუბს დაწყებით და საბაზო საფეხურზე,
- კლუბს-რა? სად? როდის? ,
- ფიზიკის კლუბს,
- ხელოვნების კლუბს,
- მწვანე კლუბს,
- მათემატიკის კლუბს დაწყებით და საბაზო საფეხურისთვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

- კლუბ „ჩხირკედალას“ ,
- კინოკლუბს.

ამის გარდა, სკოლა ჩართულია USAID სამოქალაქო განათლებისა და USAID საბაზისო განათლების პროგრამებში, თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პროექტის „ეკომეგობრული სკოლა“ ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, unicef -თან, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები ამ პროცესებში.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელიც, რომლის ფუნქციებშიც წარმოდგენილია არაფორმალური განათლების აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;

6. მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლეთა მშობელთა/მეურვეთა გამოკითხვები, წარმოდგენილი აქვს რაოდენობრივი კვლევის კითხვარები მოსწავლეთა ჩართულობის, დამოკიდებულებების, ქცევის, საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობის, მასწავლებელთა პრაქტიკის შესაფასებლად. სკოლის ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას ექსპერტებმა შევნიშნეთ, რომ მეორე სართულის დერეფანში განთავსებულია "პრობლემების ყუთი", რომელშიც მოსწავლეს შეუძლია მოათავსოს წერილი საკუთარი მოსაზრებებით, რასაც გაითვალისწინებს სკოლა. მშობელთა მაქსიმალური ჩართულობით, მოსწავლის სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების კუთხით, მასწავლებლებთან სწორი კომუნიკაციით, მოხდება მოსწავლის ჩამოყალიბება ჰარმონიულ, სრულფასოვან, განათლებულ პიროვნებად და სკოლა შეძლებს მისიისა და ხედვის რეალიზებას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **სადამრიგებლო პროგრამები,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სსსმ მოსწავლის ტრანზიციისათვის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა;
- კლასის საათის თემატიკა,
- სკოლის ვებგვერდი: https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023 – 2024 სასწავლო წლის პროექტი,
- მოსწავლეებისა და მშობლების კითხვარები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების გზას პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის გათვალისწინებით. სკოლაში მოსწავლეთა პროფორიენტაციის განვითარების კუთხით გაფორმდა შეთანხმება კოლეჯ ,,იბერიასთან'' და ,,მზიან სახლთან''. სკოლას სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა ჩართულობას სახელობო განათლების პროგრამაში. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა პროფორიენტაცია და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შექმნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. კარიერული განვითარების შესაძლებობებთან დაკავშირებით სკოლა მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთერთ პრიორიტეტად გაწერილი აქვს მეწარმეობა, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს გზამკვლევი „ცოცხალი ბიბლიოთეკა“, რომლის მიზანია საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. მეწარმეობა, როგორც მაკროცნება გთვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტშიც, სადაც მოცემულია აბსტრაქტულ დონეზე გამავალი კრიტერიუმები. ამის გათვალისწინებით მეწარმეობა შეიძლება მოდიფიცირდეს ნებისმიერ კომპლექსურ დავალებაში.

   პროფესიული ორიენტაციის საკითხები გათვალისწინებულია „მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“ პროგრამებშიც. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებული ჰქონდა სკოლას სოციალურ ქსელში, ასევე წარმოდგენილია პროექტი მშობელთა ჩართულობის შესახებ. ადმინისტრაციამ ინტერვიურიებისას განაცხადა, რომ პროფესიული ორიენტაციის მიზნით, აქტიურად გაზიარდება სიახლეები სკოლის ვებგვერდზეც, რაც ფორმირების პროცესში აღმოჩნდა.

3. სკოლას 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და შვიდწლიან სტრეტეგიულ გეგმაში ერთერთ პრიორიტეტად გაწერილი აქვს არაფორმალური განათლება, კერძოდ, მეწარმეობის მიმართულება. მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის გათვალისწინებით სკოლა მოახდენს გაწეული მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გასაუმჯობესებას. ადმინისტაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება ჩატარდეს სკოლადამთავრებული მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა პროფესია აირჩია და როგორ დაეხმარა მას სკოლა.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- სადამრიგებლო პროგრამები,
- მემორანდუმი კოლეჯ იბერიასთან,
- გზამკვლევი „ცოცხალი ბიბლიოთეკა“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

- პროექტი მშობელთა ჩართულობის შესახებ - პორტფოლიო,
- სკოლის ვებგვერდი: https://www.30sajaro.edu.ge/?lang=en
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023 – 2024 სასწავლო წლის პროექტი,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის (2023-2024) პროექტში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ძირითადი კონცეფცია, ინივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრება-გაცდენების წესები.
   ასევე, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (2022-2023), სადაც გაწრილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ყველა აქტივობა. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ინკ. განათლების მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის განხორციელებულ აქტივობებსა და სასკოლო გარემოს, აყალიბებს დასკვნას, რაც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლის ხედვაა შინაარსობრივად ფოკუსირებულია, რომ იქნება ადგილი, სადაც ურთიერთთანამშომლობის საფუძველზე შეიქმნება ინკლუზიური გარემო, რომელიც მოერგება მოსწავლის ინტერესებს. ინკლუზიური განათლების განვითარება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი ამოცანაა.

2. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ პირების წინსვლასა და განვითარებაში. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად მოახდენს მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებას დაკვირვებების საფუძველზე და მშობელთან შეთანხმებით იწყებს საქმისწარმოებას, ამზადებს მიმართვის ფორმას. მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად მოსწავლეს ენიჭება სტატუსი. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სკოლაში ყალიბდება ისგ ჯგუფი და იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეულ საგანში მოსწავლის/კანონიერი წარმომადგენლის საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემდეგ კი ხდება ისგ გეგმის გაცნობა კანონიერი წარმომადგენლისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, სპეც. მასწავლებლის სამოქმედო გეგმა, მშობლის მიმართვისა და გაკვეთილზე დასწრების მონიტორინგის ფორმები. ისგ ჯგუფში ჩართულია მოსწავლის დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.
სკოლის ინფრასტრუქტურაც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეებს იყვნენ სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართულნი.
სკოლას აქვს გარე პანდუსი და პირველ სართულზეა განლაგებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე: ბიბლიოთეკა, ისტ ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი, ბუფეტი, ადაპტირებული სველი წერილები გოგონებისთვისა და ვაჟებისთვის, თუმცა არ არის მეორე და მესამე სართულზე ასასვლელი პანდუსები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სპეც. მასწავლების სამოქმედო გეგმა,
- ინდ გეგმები, მოსწავლის შეფასება, შიდა მონიტორინგი, დასწრების მონიტორინგი,
- მშობლის და სკოლის მიმართვის ფორმა, ისგ სხდომის ფორმა, მულტიდისციპლინარულის გუნდის დასკვნა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- **სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა,**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023 – 2024 სასწავლო წლის პროექტი,**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით იკვეთება, რომ რაიმე ტიპის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება 2023-2024 სასწავლო წელში არ იგეგმება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

სკოლამ გააიჯარა ფართები, სადაც მოიჯარეები მოსწავლეებს სთავაზობენ ქორეოგრაფიისა და ჭადრაკის შესწავლას, კალათბურთსა და ფეხბურთს. სკოლა ამისათვის ინფორმაციას მიაწვდის მშობლებს, ეს გაზიარდება სკოლის ვებ-გვერდზეც. სკოლას აქვს კვების სერვისი, გაიჯარებულია ფართი კანონმდებლობის ყველა ნორმის დაცვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები ფართის გაიჯარების შესახებ, ცნობა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და სატენდერო დოკუმენტაცია.

2. სკოლაში ნებისმიერი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება მოემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. სკოლა მოსწავლეებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებით განსაზღვრავს არასავალდებულო ხასიათის მომსახურების საჭიროებას. სკოლის გადატვირთული სასწავლო განრიგიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება სხვა არასავალდებულო მომსახურეობების დამატება. სამომავლოდ, დამატებითი შენობის მოწყობის შემთხვევაში, სკოლა გეგმავს დამატებითი არასავალდებულო მომსახურეობის შეთავაზებას.

3. სკოლას ფართების გაიჯარება განხორციელებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისად. გაიჯარებულ ფართებში შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურებები არ ემთხვევა სასწავლო დროს, მიმდინარეობს შაბათ-კვირას და გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **ხელშეკრულებები გაიჯარებული ფართების შესახებ,**
- **ცნობა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ,**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
<u>დაწყებითი საფეხური</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია).

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);
- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების

პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

2. კურიკულუმის შემუშავება დაწყებით საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება  კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

3. სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.

   საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.
კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

➢ სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- კათედრის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. წარმოდგენილი წლიური საგნობრივი კურიკულუმები (პროექტ-ჩარჩოები) შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. ინტერვიუერების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო. არის რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც (მაგალითად პირველი და მე-2 კლასების, მე-5 კლასის ბუნებისმეტყველება, მე-5 და მე-6 კლასის მათემატიკა) ყველა თემა, საკითხი, ან კომპლექსური დავალება არ არის გაწერილი, მაგრამ ეს არ ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას არ აქვს მზაობა. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან.

***რჩევა: გაწერილ იქნას პირველი და მეორე კლასის კურიკულუმები ესგ-ს მიხედვით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებზე, შესაბამის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თუმცა ყველა თემაში და მით უფრო ყველა კლასში არ არის განსაზღვრული ხუთივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული, ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე , რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. ასევე, წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, N4 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც კვლევა ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი მოიცავს მე-5 კლ-ის მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული, თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით.

5. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ახალი სასწავლო კურიკულუმის დანერგვა. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია კათედრებთან, კოლეგებთან თანამშრომლობა, სადაც განხილული იქნება ანალიზი, ისეთი აქტივობების იდენტიფიცირება, რომლის განხორციელებამაც წარმატება მოიტანა. მასწავლებლები გეგმავენ და აპირებენ რევიზირებული გადამუშავებული კურიკულუმებით მუშაობას, სადაც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებითი საფეხურის კეთედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო კურიკულუმი წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მოსწავლე კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. კომპლექსური დავალების ფარგლებში მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ისეთი აქტივობები, როგორიცაა ფესტივალი, პროექტი, გაზეთის ბულეტის შექმნა რომელიც მოსწავლის შემოქმედებითობას და მასში ჩართულობას შეუწყობს ხელს. შედარებით მწირი იყო მათემატიკის მე-5 და მე-6 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. **მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა მოცემულ კლასებში წარმოადგინოს ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები.**

**2.** 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. **მცირე უზუსტობა ჩანს ხელოვნების I-IV კლასების კურიკულუმში, არ არის ყველა თემა და შესაბამისად კომპლექსური დავალება წარმოდგენილი, რაზეც ინტერვიურებისას პედაგოგმა ახსნა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად განსაზღვრავს თემებს და შეარჩევს კომპლექსურ დავალებებს.**

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მე-5 და მე-6 კლასებშიც შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

3.სკოლა დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე. იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა.

4.2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია არაფორმალური აქტივობები სხვადასხვა კლუბებში. პროექტებში და საკლუბო მუშაობაში მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად ფორმულირებული შუალედური მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. მაგ. უცხო ენაში „პოსტერის პრეზენტაცია თანატოლებისთვის ზოოპარკში გატარებული მხიარული უქმეების გასაცნობად“.

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზითა და მომავალი სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. კათედრაზე არსებობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ დაწყებით საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ უცხოური ენებს ამ სკოლაში აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, როგორიც არის ტესტური დავალებები, ამით ხდება პერიოდული მონიტორინგი. სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის სპორტის კურიკულუმების მიხედვთ, სამიზნე ცნების ცხოვრების ჯანსაღი წესის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, ფესტივალი კიდევ მეტად შეუწყობს ხელს საგანთა შორის ინტეგრირებას. სკოლის მასწავლებელთა ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტის პრეზენტაცია, რომელიც კონფერენციაზე ჰქონდათ წარმოდგენილი;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები (იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს), ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით რესურსებში, ჩანს ნიმუში, სადაც ასახულია ამ მიზნის თვალსაზრისით გაცნობიერებული დავალებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

2. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მაგალითად: მე-3, მე-4 და მე-6 კლასების კურიკულუმები, რომლებშიც თემები ძირითადად მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში. ეს კი, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **რჩევა: დაწყებით საფეხურზე საჭიროა გამოიკვეთოს საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც ხელს შეუწობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას კიდევ უფრო მეტად.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოწავლეზე დაკვირვების რუბრიკის ნიმუში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და ინსტრუმენტი #4-ოთხდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად. ამ დოკუმენტებიდან ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მაგალითად, წარმოდგენილია ინგლისური ენის სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. ამავე დროს არის მცირე უზუსტობებიც, მაგალითად, თუმცა, რუსული ენისთვის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (მე-6 კლასი) იწვევს დაბნეულობას, რადგან აღნიშნული სახელის ქვეშ დოკუმენტში წარმოდგენილია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ცხრილი.
   შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია შეფასების დროს აქცენტი კეთდებოდეს არ მარტო მოსწავლის საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილია აქტივობები პროექტის მომზადება, პრეზენტაცია, შესწავლილი საკითხების წარმოჩენა პროცესში აქტიურ ჩართულობას გულისხმობს.
   განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა.
4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების II მოდელს, მუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მორგებული, შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მაგალითად, რუსული ენის განმსაზღვრელი რუბრიკის საფუძველზე და მასწავლებელთა ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.

**5.** პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში.

***სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მექანიზმი, თუ როგორ გეგმავდნენ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირებული არ იყო. მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე აქტიურად გამოიყენებდნენ კომპლექსურ დავალებებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის კომპლექსური უნარები. კომპლექსური დავალებების პირობებში გაწერილი იყო შეფასების კრიტერიუმები, ასევე წარმოდგენილი იყო მოსწავლის შეფასების ინტსრუმენტებიც. ამის გარდა დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებდნენ მოსწავლის დიაგნოსტიკურ შეფასებებსაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დაწყებით საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება გათვალისწინებულია 2023 წლის 25 დეკემბრამდე.*

*6.* სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალაში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. *რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები,
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი,
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა,
- კურიკულუმის დანართები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები,
- კათედრის სხდომის ოქმები,
- სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები,
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან,
- ინტერვიუ მასწავლებლებთან,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებით საფეხურზე (Vკლასში) მეორე ენის არჩევა, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.
სკოლაში წლის დასაწყისში მოსწავლეთა და მშობელთა ზეპირი შეთანხმებით (ხმათა უმრავლესობით) ხდება მეხუთე კლასებში მეორე უცხო ენის არჩევა. წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაანალიზდება წლის ბოლოს კათედრებზე და გამოწვევები კი, იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქცევა საკვლევ საკითხებად მომავალი წლის სწორად დაგეგმვის მიზნით.

2. სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთიკონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია.

3. სწავლების დაწყებით საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. მაგალითად, ლიდერი მასწავლებლები USAID -ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ შეხვედრებს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს ეფექტიანად გამოყენებული სასწავლო სტრატეგიების და სხვადასხვა რესურსების მეშვეობით და რომ პროცესი ეფუძნებოდეს თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:
- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში **(მონიტორინგი);**
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი **(შეფასება).**

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.
კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე , მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები:
   - კვლევა
   - დაკვირვება
   - ინტერვიუ
   - SWOT ანალიზი

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესამლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.
3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.
4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში (რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში);
- მოსწავლეთა შედეგების დინამიკას (რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, მოსწრების გაუმჯობესება);
- მშობელთა ჩართულობას (რამდენად გაითავისეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას);
- კათედრის მუშაობას (მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით);
- სკოლის დირექციის ჩართულობას (სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება);

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

<u>**საბაზო საფეხური**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია).
კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);
- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების

პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).
კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.
სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

2. კურიკულუმის შემუშავება საბაზო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

3. სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.
საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.
კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- კათედრის ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- პედსაბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. წარმოდგენილი წლიური საგნობრივი კურიკულუმები (პროექტ-ჩარჩოები) შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო. არის რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ყველა თემა, საკითხი, ან კომპლექსური დავალება არ არის გაწერილი, მაგრამ ეს არ ქმნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

იმის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას არ აქვს მზაობა. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, მზად არიან კურიკულუმებები დახვეწონ და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება არ იფარება. თუმცა სკოლას, კათედრებს აქვს მზაობა იმისა, რომ სექტემბრისთვის განახორციელებენ კურიკულუმების მოდიფიცირებას ამ კუთხითაც. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე მასწავლებლებმა კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნები და ამის მიხედვით დაიგეგმა მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც კომპლექსური დავალების სახითაა წარმოდგენილი. რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების ჯგუფურ, გუნდურ, თანამშრომლობით, შემოქმედებით უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებასაც იძლევა.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა გეგმავს ადმინისტრაციული წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. ასევე, წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, N4 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც კვლევა ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ინტერვიურების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნან ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურის სპორტში წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსურ დავალებები ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ფესტივალის მოწყობა, ფესტივალის გაფორმება, ფოტო-ვიდეო გადაღება, მასში მონაწილეობა, ფუნქციების გადანაწილება შესაძლებლობიდან გამომდინარე, კედლის გაზეთის, ბუკლეტის დამზადება, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა დიფერენცირებული მიდგომები განხორციელდეს პროცესში, შინაარსში და პროდუქტში. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

4. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით.

5. სასწავლო პროცესი, მოწოდებული დოკუმენტაცია, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ის ფაქტი, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ მათ მიერვე შექმნილი კომპლექსური დავალებები, რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცესში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, კერძოდ, მოსწავლეთა შემაჯამებლების ანალიზით, ჩანს, რომ მათემატიკის კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას; ასევე, სსსმ მოსწავლეების შესახებ სწავლების ხედვა წარმოდგენილი აქვთ სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ახალი სასწავლო კურიკულუმის დანერგვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობა, სადაც განხილული იქნება ანალიზი, ისეთი აქტივობების იდენტიფიცირება, რომლის გახორციელებამაც წარმატება მოიტანა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

მასწავლებლები გეგმავენ და აპირებენ რევიზირებული გადამუშავებული კურიკულუმებით მუშაობას, სადაც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურზე კეთედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი. სასწავლო კურიკულუმი წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქმედებით პროცესში ჩართული. მოსწავლე კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სკოლის, კათედრის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტები (მაგალითად პროექტი- სამეცნიერო ჟურნალი „მომავლის ჰორიზონტი“, ,,სხეულის მუსიკა'' ,,კლიმატმეგობრული სკოლა'') კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის წევრებთან, იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს შემოქმედებითს ხდის და მოსწავლეს სძენს ცოდნის, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით.

2. 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

3. სკოლა საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა, გააკეთოს რეფლექსია.

4. 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია არაფორმალური აქტივობები სხვადასხვა კლუბებში. პროექტებში და საკლუბო მუშაობაში მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად ფორმულირებული შუალედური მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზითა და მომავალი სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. კათედრებზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ საბაზო საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმების მიხედვით სამიზნე ცნების ცხოვრების ჯანსაღი წესის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები ფესტივალი, პროექტული სწავლება, ჯანსაღი კვება ჰიგიენა კიდევ მეტად შეუწყობს ხელს საგანთა შორის ინტეგრირებას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **მასწავლებლის რეფლექსია;**
- **კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;**
- **სასწავლო პროექტის პრეზენტაცია, რომელიც კონფერენციაზე ჰქონდათ წარმოდგენილი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები, გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით რესურსებში, ჩანს ნიმუშები, სადაც ასახულია ამ მიზნით გაცნობიერებული დავალებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

2. კურიკულუმის დანართებში ჩანს კათედრების მიერ დაგეგმილი პროექტები. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში განსაზღვრავს საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებები, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

3. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმაში იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებზე მუშაობა, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას, ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, საანგარიშო ოქმის შესაბამისად, კათედრები ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მოსწავლის წინსვლის და განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების II მოდელს, წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოების სავალდებულო რაოდენობები კლასების (V-VI) მიხედვით. მუშავდება შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რაც შეფასების პროცესს გახდის სანდოს, ვალიდურს, ობიექტურსა და გამჭვირვალეს.

5. სკოლაში სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის შეფასების სისტემის აღწერა და პროცდურები.

***სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (როგორ გეგმავდნენ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას).*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირებული არ იყო. მასწავლებლები საბაზო საფეხურზე აქტიურად გამოიყენებდნენ კომპლექსურ დავალებებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის კომპლექსური უნარები. კომპლექსური დავალებების პირობებში გაწერილი იყო შეფასების კრიტერიუმები, ასევე წარმოდგენილი იყო მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტებიც.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც საბაზო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება გათვალისწინებულია 2023 წლის 25 დეკემბრამდე.***

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალაში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

***რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;**
- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები.**
- **კათედრის სხდომის ოქმები,**
- **სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურზე მასწავლებელთა დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მასწავლებლები გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შორის – ელექტრონულ რესურსებს. წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაანალიზდება წლის ბოლოს კათედრებზე და გამოწვევები კი, იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქცევა საკვლევ საკითხებად მომავალი წლის სწორად დაგეგმვის მიზნით.

2. სწავლების საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ნიმუშებში იკვეთება სხვადასხვა ტიპის აქტივობები ამ მიმართულებით.

3. სწავლების საბაზო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. ამ მხრივ დიდი როლი აქვს თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორისაც. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში პერიოდულად იქმნება სასწავლო ჯგუფებიც გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში **(მონიტორინგი);**
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი **(შეფასება).**

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.

3. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოვიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე , მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.

გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები:

- კვლევა
- დაკვირვება
- ინტერვიუ
- SWOT ანალიზი
- წლიური გამოცდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები.**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში (რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში);
- მოსწავლეთა შედეგების დინამიკას (რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, მოსწრების გაუმჯობესება);
- მშობელთა ჩართულობას (რამდენად გაითავისეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას);
- კათედრის მუშაობას (მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სკოლის დირექციის ჩართულობას (სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება);

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**საშუალო საფეხური**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>საშუალო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია).
კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

  კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

2. კურიკულუმის შემუშავება საშუალო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება  კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

3. სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.

საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.
კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდააჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **კათედრის ოქმები;**
- **პედსაბჭოს ოქმები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე მე-10 კლასში წარმოდგენილი წლიური საგნობრივი კურიკულუმები (პროექტ-ჩარჩოები) შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. მეთერთმეტე კლასში, რადგან იცვლება სახელმძღვანელოები, მათ მიხედვით მოხდება დაგეგმვა, ხოლო მე-12 კლასში წარმოდგენილი კურიკულუმი ახალი მეთოდიკით სწავლებას არ ითვალისწინებს. მე-10 კლასის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მე-10 კლასის ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო. არის რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ყველა თემა, საკითხი, ან კომპლექსური დავალება არ არის გაწერილი, მაგრამ ეს არ ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას არ აქვს მზაობა. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, მზად არიან კურიკულუმებები დახვეწონ და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, მე-10 კლასის საგნობრივი კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება იფარება, რაც იმას გულისხმობს, რომ კათედრებს აქვთ მზაობა იმისა, რომ ს კურიკულუმები მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა გეგმავს ადმინისტრაციული წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. ასევე, წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, N4 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც კვლევა ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს.

4. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული, თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

5. სასწავლო პროცესი, მოწოდებული დოკუმენტაცია, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ის ფაქტი, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ მათ მიერვე შექმნილი კომპლექსური დავალებები, ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცსში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, კერძოდ, მოსწავლეთა შემაჯამებლების ანალიზით, ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას; სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ახალი სასწავლო კურიკულუმის დანერგვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობა, სადაც განხილული იქნება ანალიზი, ისეთი აქტივობების იდენტიფიცირება, რომლის გახორციელებამაც წარმატება მოიტანა. მასწავლებლები გეგმავენ და აპირებენ რევიზირებული გადამუშავებული კურიკულუმებით მუშაობას, სადაც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;**
- **მასწავლებლის რეფლექსია;**
- **კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე კეთედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი. სასწავლო კურიკულუმი წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მოსწავლე კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სკოლის, კათედრის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტები (მაგალითად, პროექტი - სამეცნიერო ჟურნალი „მომავლის ჰორიზონტი“, ,,კლიმატმეგობრული სკოლა’’) კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის წევრებთან, იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს შემოქმედებითს ხდის და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოსწავლეს სძენს ცოდნის, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით.

2. 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

3. სკოლა საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა, გააკეთოს რეფლექსია.

4. 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია არაფორმალური აქტივობები სხვადასხვა კლუბებში. პროექტებში და საკლუბო მუშაობაში მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად ფორმულირებული შუალედური მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზითა და მომავალი სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. კათედრებზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ საბაზო საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმების მიხედვთ სამიზნე ცნების ცხოვრების ჯანსაღი წესის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები ფესტივალი, პროექტული სწავლება, ჯანსაღი კვება ჰიგიენა კიდევ მეტად შეუწყობს ხელს საგანთა შორის ინტეგრირებას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტის პრეზენტაცია, რომელიც კონფერენციაზე ჰქონდათ წარმოდგენილი;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს  გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები, გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის.  შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები  როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით რესურსებში, ჩანს ნიმუშები,  სადაც ასახულია ამ მიზნით გაცნიბიერებული დავალებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

2. კურიკულუმის დანართებში  ჩანს კათედრების მიერ დაგეგმილი პროექტები. 2023-2024 წ.  სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის  ძირითად ამოცანებში  განსაზღვრავს საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებები, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

3. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმაში იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებზე მუშაობა , მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას, ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, საანგარიშო ოქმის შესაბამისად, კათედრები ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მოსწავლის წინსვლის და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების II მოდელს, მუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული, შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.

5. სკოლაში სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში.

***სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (როგორ გეგმავდნენ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას).*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირებული არ იყო. მასწავლებლები საშუალო საფეხურზე აქტიურად გამოიყენებდნენ კომპლექსურ დავალებებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის კომპლექსური უნარები. კომპლექსური დავალებების პირობებში გაწერილი იყო შეფასების კრიტერიუმები, ასევე წარმოდგენილი იყო მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტებიც.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც საშუალო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება გათვალისწინებულია 2023 წლის 25 დეკემბრამდე.***

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალაში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

***რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- კურიკულუმის დანართები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- კათედრის სხდომის ოქმები,
- სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე მასწავლებელთა დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მასწავლებლები გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაანალიზდება წლის ბოლოს კათედრებზე და გამოწვევები კი, იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქცევა საკვლევ საკითხებად მომავალი წლის სწორად დაგეგმვის მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სწავლების საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ნიმუშებში იკვეთება სხვადასხვა ტიპის აქტივობები ამ მიმართულებით.

3. სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. ამ მხრივ დიდი როლი აქვს თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორისაც. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთ, რომ სკოლაში პერიოდულად იქმნება სასწავლო ჯგუფებიც გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:
- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (**მონიტორინგი**);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (**შეფასება**).

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.

3. სსიპ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოვიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე , მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.
გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები:

- კვლევა
- დაკვირვება
- ინტერვიუ
- SWOT ანალიზი
- წლიური გამოცდა

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში (რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში);
- მოსწავლეთა შედეგების დინამიკას (რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, მოსწრების გაუმჯობესება);
- მშობელთა ჩართულობას (რამდენად გაითავისეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას);
- კათედრის მუშაობას (მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით);
- სკოლის დირექციის ჩართულობას (სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება);

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................
..........................................................................................................................................
..........................................................................................................................................
..........................................................................................................................................

24.08.2023
თარიღი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** ნანა ედიშერაშვილი ____________________

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ნინო ცინდელიანი ____________________

ლია ბოგვერაძე ____________________

როლანდ ხოჯანაშვილი ____________________

ლელა მანგოშვილი ____________________

ეკატერინე გავაშელიშვილი ____________________

ინგა ხრიკაძე ____________________

ლია ნეფარიძე ____________________

მზია დადვანი ____________________

თამთა კამკამიძე ____________________

თემურ კურცხალია ____________________



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------